განათლება ძალადობრივი ექსტრემიზმის და რადიკალიზაციის პრევენციისთვის

საკონფერენციო მასალები დამუშავდა და მომზადდა ნინა ხელაძის ავტორობით

"ძალადობრივი ექსტრემიზმის და რადიკალიზაციის პრევენცია არის მულტიდისციპლინური საკითხი. ეს გვიჩვენა 2015 წლის შემთხვევამ, როდესაც Vimeo-სა და YouTube-ზე გავრცელებული საფრთხის შემცველი შინაარსის საპასუხოდ მთავრობამ გათიშა სრულად პლატფორმები და არა კონკრეტული ანგარიშები. პარალელურად გავლენიანმა მედიებმა ეთერში მიიწვიეს ვიდეოსთან კავშირში მყოფი პირების ოჯახის წევრები. ერთ-ერთი ინტერვიუ მთავრდებოდა ჟურნალისტის სიტყვებით „ჯანმრთელობას გისურვებთ, ყოველივე კარგი თქვენს ოჯახს". ეს ქეისი სასწავლო კურსებში დღესაც გვხვდება", - ***ნათია კუპრაშვილი, ჟურნალისტიკის რესურსცენტრის თავმჯდომარე, თსუ-ს ასოცირებული პროფესორი;***

„წარმატების შესაძლებლობები იზრდება მაშინ როდესაც ძალადობრივი ექტრემიზმის და რადიკალიზაციის პრევენციაში ჩართულია საზოგადოების ყველა სექტორი, როდესაც ყველა სექტორი ხედავს თავის როლს", - ***მარიამ თოხაძე, GCSD-ის დირექტორი***

„განათლება ძალადობრივი ექსტრემიზმის და რადიკალიზაციის პრევენციისთვის" - ჟურნალისტიკის რესურსცენტრის საერთაშორისო პრაქტიკულ-სამეცნიერო კონფერენცია 07 დეკემბერს, თბილისში ჰიბრიდულ ფორმატში გაიმართა.
კონფერენეციის მთავარი მიზანი იყო ეჩვენებინა ფართო აუდიტორიისთვის თუ რა შეუძლია განათლებას სასკოლო და საუნივერსიტეტო საფეხურებზე რადიკალიზაციის და ექსტრემიზმის პრევენციაში და როგორია ამ მიმართულებით ვითარება საქართველოში.

კონფერენციის მომხსენებელთა შორის იყვნენ:

მთავარი პანელის სპიკერები: მარიამ თოხაძე, GCSD-ის დირექტორი; იორგენ ოიჰანსენი - კონფლიქტების მკვლევარი, ჟურნალ Resistance Studies მთავარი რედაქტორის მოადგილე; ლაშა ტუღუში - ლიბერალური აკადემიის დირექტორი. მოდერატორი - ნათია კუპრაშვილი, ჟურნალისტიკის რესურსცენტრის თავმჯდომარე

პირველი პანელი - „რეგიონული ხედვა-ტრენდები და გადაწყვეტები"
სპიკერები: ინგა შამილიშვილი, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი; მარიკა შერაზადაშვილი - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი; მაკა ბიბილეიშვილი - სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმის აღმასრულებელი დირექტორი.

მოდერატორი - ნინო ჭალაგანიძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

მეორე პანელი - „საზოგადოების ცნობიერება და მედიის როლი“

სპიკერები: ლაშა ქავთარაძე, მედია მკვლევარი, PhD Candidate/Researcher at Høyskolen Kristiania

თემა: ძალადობრივი ექსტრემიზმის გაშუქება.

ლიამ მონსელი, მთავარი ანალიტიკოსი, Protection Group International (PGI): https://www.pgitl.com/intelligence/

თემა: სოციალური მედია და ექსტრემისტული მობილიზაცია

ზოი ბორდენი, მთავარი კონსულტანტი, ფულბრაიტის მკვლევარი

ნატალი ნემსაძე, მთავარი მკვლევარი, ჟურნალისტიკის რესურსცენტრი

თემა: მედია ინოვაციური მიდგომები ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენციისთვის

კონფერენცია გადაიცემოდა ღია რესურსებზე Facebook Live-ის ფორმატში https://www.facebook.com/events/425321005919046?ref=newsfeed

პრობლემის არსის განსაზღვრება- ძალადობრივი ექსტრემიზმი და ტერორიზმი

„ძალადობრივი ექსტრემიზმი არის იდეათა ერთიობლიობა, ანუ მსოფლმხედველობა, რომელიც თავისი არსით დაფუძნებულია საზოგადოებაში შემავალ სხვადასხვა ჯგუფს შორის ხარისხობრივი განსხვავების რწმენაზე და არა მხოლოდ ამაზე. ასევე, იმ მოსაზრებაზე რომ ეს ხარისხობრივი განსხვავება ამ ჯგუფებს შორის არის ექსიზტენციური მტრობის წინაპირობა და ასევე იმ აზრზე, რომ ასეთი მტრულად განწყობილი ჯგუფების მიმართ ძალადობა, ძალადობრივი ქმედება არის არამხოლოდ დასაშვები და საჭირო, არამედ მისასალმებელიც.

ასეთი ტიპის იდეოლოგიები ფაქტობრივად გამორიცხავენ საზოგადოებაში ჰარმონიულ თანაცხოვრებას, რაც თავისთავად წინააღმდეგობაში მოდის ყველა დემოკრატიულ წყობასა და ღირებულებასთან“,-მარიამ თოხაძე, GCSD-ის დირექტორი.

მისივე თქმით, იდეოლოგია თავისთავად არც პოზიტიურია არც ნეგატიური, იდეოლოგია პრობლემური ხდება მაშინ, როდესაც ის შეიცავს ძალადობის წამახალისებელ კომპონენტს. იდეოლოგია პრობლემაა მაშინ როდესაც ის თავის მიმდევრებში იწვევს კოგნიტურ ცვლილებებს ძალადობის ნორმალიზების გზით და შემდეგ უკვე ქცევით ცვლილებას ძალადობრივი ქმედების სახით.

მეტი იდეოლოგიის ჩამოყალიბების, არსის და შემდგომი საფრთხეების შესახებ ნახეთპოდკასტში: shorturl.at/gC067

კონფერენციის მთავარ პანელში მკაფიოდ გამოითქვა, რომ აუცილებელია გავმიჯნოთ ძალადობრივი ექსტრემიზმი ტერორიზმისგან.

ორივე გახლავთ პოლიტიკური ტიპის ძალადობა, თუმცა ტოლობის ნიშნის დასმა მათ შორის არ არის სწორი.
მარიამ თოხაძე, რომელიც წლებია იკვლწევს რადიკალიზაციას და ტერორიზმს, ამბობს, რომ წლებმა და პრაქტიკამ გვაჩვენა, რომ მხოლოდ ტერორიზმზე კონცენტრირება არ არის სწორი, საკმარისად ვერ ხედავს და ვერ ასახავს ამ პრობლემის.

„აქვე, ყველა ვთანხმდებით, რომ ორივე წარმოადგენს უსაფრთხოების რისკს და პოტენციურად ორივე საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს, მის ღირსეულ სიცოცხლეს და შემდეგ უკვე დემოკრატიულ წყობას. ეს ორივე ფენომენი საფრთხეს უქმნის საზოგადოებას, რომელსაც როგორც მინიმუმ აქვს ამბიცია და მისწრაფება იმისა რომ მასში შემავალი ყველა კომპონენტისთვის, ყველა ჯგუფისთვის შექმნას ცხოვრბეის ღირსეული და თანასწორი განვითარების პირობები“.

მულტისექტორული მიდგომა

კონფერენციაში მონაწილეთა მოსაზრებით, აკადემიურ და პრაქტიკულ წრეებში კონცენტრირება წლების განმავლობაში ხდებოდა ტერორიზმზე. ტერორიზმის პრევენციაზე და კონტრტერორიზმზე, ანუ ხისტ პასუხებზე. დღეს უკვე ვიცით, რომ ეს არ ასახავს და ვერ პასუხობს სრულად პრობლემის სიღრმეს, ამიტომ ექსპერტთა წრეებმა და პრაქტიკოსებმა დაიწყეს ფიქრი იმაზე რომ ჩვენ უნდა ვსაუბრობდეთ ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენციაზე და მასთან გამკლავებაზე.

მსოფლიოში არსებულმა ამ ტენდენციამ, ექსპერტთა შეფასებით, გააჩინა ლეგიტიმური შეკითხვა, რა არის საუკეთესო გზა პოზიტიური შედეგის დასადებად? დრომ და პრაქტიკამ აჩვენა რომ მიუხედავად იმისა, რომ ამ საკითხიში არც მზა ფორმულები გვაქვს და არც წარმატების 100 % გარანტიები ჩვენი შანსი პოზიტიური შედეგის მიღწევისა საგრძნობლად იზრდება, მაშინ როდესაც ძალადობრივი ექტრემიზმის პრევენციაში ჩართულია საზოგადოებაში შემავალი ყველა კომპონენტი.

„ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენციც ორ მიდგომად შეიძლება დავყოთ. ბუნებრივი სახელმწიფო ინსტიტუტების პირდაპირი ვალდებულებაა, ხისტი და რბილი მიდგომების მთელი წყება. აი ამას მივყავართ მრავალსექტორული მიდგომის პირევლ განზომილებამდე, რომელიც არის სახელმწიფო უწყებებს შორის განაწილებული პასუხისმგებლობა, რომელიც უნდა იყოს დაფუძნებული ერთიან ხედვაზე და უნდ აიყოს კოორდინირებული. მთავარი რაც უნდა ითქვას, ძალადობრივი ექსტრემიზმის პერევნცია არავითარ შემთხვევაში არ უნდა მივიჩნიოთ როგორც ძალოვანი სამართალდამცავი უწყებების ფუნქციად. ბუნებრივია, შეიძლება გვქონდეს მოლოდინი, რომ ასეთი ტიპის უწყებები უნდა განსასზღვარვდენენ საფრთხის დონეს, მაგრამ პასუხსიმგებლობა პრევენციაზე თანაბრად უნდა ეკისრებოდეს ისეთ უწყებებს რომლებიც პასუხიმგებელნი არიან საზოგადოებაში განათლების საკითხზე, კულტურულ დიალოგზე, საზოგადოაბაში

შემავალ სხვადასხვა თემს შორის, ან უმცირესობებთან ურთიერთობაზე, -ამბობს მარიამ თოხაძე

ექსპერტების თქმით, პოზიტიურ შედეგამდე გავდივართ მაშინ როდესაც არსებობს გაცნობიერებული თანამშრომლობა სექტორებს შორის. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს აქვთ ძლიან დიდი როლი და პასუხისმგებლობა. აღნსნულს ბევრი მიზეზი აქვს. მაგალითად, ისინი შეიძლბა უკეთესად იცნობდნენ იმ თემებს, რომელშიც რაღაცა ტიპის გამოწვევაა. ისინ შეიძლება უფრო დიდი ნდობით სარგებლობდნენ, განსაკუთრებით როდესაც საქმე გვაქვს რადიკლაზიაციისადმი მოწყვლად თემებთან და ასევე მათ აქვთ უფრო მეტი თავისუფლება დაგეგმონ და განახორციელონ თავიანთი აქტივობები, მიწვდნენ საზოგადოების ისეთ ნაწილს, რომელსაც სხვა შესაძლოა ვერ წვდება.

მრავასექტორული მიდგომის მაგალიათია GCSD-ის პროექტი, რომელიც ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ფინანსური ხელშეწყობით ხორციელდება და რომლის ფარგლებშიც ორგანიზაციამ ითანამშრომლა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული სტრატეგიის შემუშავების და მონიტორინგის მუდმივმოქმედი კომისიათან. ამ კომისიის შესაძლბელობების გაძლიერების გზით. პროექტის ფარგლებში, შსს-ს აკადემიასთან შეიქმნა ონლაინ მოდული ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენციასთან დაკავშირებით. პროექტმა იმუშავა სუს-ის სასწავლო ცენტრთან, რომელსაც გადაეცა სასწავლო პროგრამა.

სამთავრობო სტრუქტურების გარდა, პროექტმა იმუშავა სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმთან და ჟურნალისტიკის რესურსცენტრთან. მის ფარგლებში ასევე დიდი ყურადღება ეთმობა კვლევით კომპონენტს, ექსტრემისტული ნარატივების სიღრმისეულ და თანმიმდევრულ კვლევას.

როგორია ექტრემიზმის ისტორიული კონტექსტი უახლესი წარსულიდან ? ისტორიული კონტექსტი და მიზეზი მიმოიხილა ნორვეგიელმა ექსპერტმა, იორგენ იოჰანსენმა. მისი ერთ-ერთი მიგნების მიხედვით, ეს ტემები სათანადოდ არ შუქდება მედიაში, არის არსის გაგების და გავრცელების პრობლემა. ნაკლები და დეფიციტურია აკადემიური კვლევები.
იორგენ იოჰანსენის პრეზენტაციის მნიშვნელოვანი ნაწილი, მეორე მსოფლიო ომს და ზოგადად, ომების დროს დანაშაულის სტატისტიკას ეხებოდა. ომის დანაშაულის ანალიზისის მან მოიყვანა მონაცმები, რომლის მიხედვითაც პირველ მსოფლიო ომში მშვიდობიან მოქალაქეთა მსხვერპლი 5% იყო, მეორე მსოლიო ომში - 40 %, ხოლო ვიეტნამის ომში - 70 %. მის მიერვე მოყვანილი სტატისტიკის მიხედვით, ეს მაჩვენებელი ავღანეთში, ერაყში და ლიბიაში კიდევ უფრო მაღალია.

მან აქცენტი შერიგების აუცილებლობაზე გააკეთა და მაგალითად გერმანია მოიყვანა, რომელიც ცდილობს ყოფილ ანექსირებულ ან მისი მოქმედებებით დაზარალებულ ქვეყნებთან ურთიერთობაში შედმგომი მიდგომა გამოიყენოს:

1. *აღიარებს საჯროდ ძალადობრივ და არადამიანურ ქმედებებს;*
2. *გასცემს დიდი ოდენობის კომპენსაციას;*

3. *ეწევა მოხალისეობრივ საქმიანობას ყოფილ ოკუპირებულ ქვეყნებში.*

რა განაპირობებს და ქმნის ნოყიერ ნიადაგს ექსტრემისტული ნარატივებისა და რაკილაზმისთვის?

„ლიბერალური აკადემია თბილისის“ დირექტორი ლაშა ტუღუში რადიკალიზაციის პრევენციაზე საუბრისას აქცენტს საფუძვლებზე აკეთებს. მისი შეფასებით, მნიშვნელოვანია გავიგოთ რა განაპირობებს და რა ქმნის ნოყიერ ნიადაგს რადიკალური ჯგფებისთვის.

„ერთია როდესაც ვხედავთ მოქმედებებს, ულტრა მემარჯვენე, რადიკალური, ფაშისტური ჯგუფების აგრესიას, მაგრამ მნიშვნელოვანია ვიცოდეთ რა არის ეს რის, გამო ხდება“.

მისი შეფასებით, საზოგადოება დგას განათლების მნიშვნელოვანი პრობლემის წინაშე. აღნიშნულს ტენდენციების სახით ვხვდებით დღეს მსოფლიოში. შედაგად ვაკვირდებით ულტრამემარჯვენეობის და პოპულიზმის ძალიან სერიოზულ ზრდას.
რა უნდა ვქნათ? კითხვაზე პასუხისას საკითხის მცოდნეთა უმეტესობა კვლავ განათლებისკენ მიგვითითებს. კონფერენციაში მონაწილეები თანხმდებეიან, რომ დღეისათვის სასკოლო განათლების საფეხური ვერ ართმევს დავალებას კარგად თავს.
„ჩვენ სამწუხაროდ ვასწავლით უნივერსიტეტებში, მაგრამ არ ვასწავლით სკოლებში. ჩვენ ასევე არ ვიცით სახელმძღვანელოების და სწავლების გავლენები. არ ხდება ამ გავლენების კვლევა.

რასიზმი თეთრკანიანთა უპირატესობა, აგრესია მიგრანტების წინააღმდეგ, ულტრა მოძრაობები: როგორც ულტრა-მემარჯვენე, ისე ულტრა-მემარცხენე, ულტრა კონსერვატიული ხასიათი, - ეს ყველაფერი დამახასითებელია მსოფლიოსთვის. თუმცა საქართველოსთვის ეს არის კიდევ უფრო ბრუტალური ხასიათის, უფრო საშიში. დასავლეთი უფრო მეტად არის ვაქცინირებული ულტრა მოძრაოებების წინააღმდეგ, იმიტომ, რომ მეტი დემოკრატიაა და მეტი გამოცდილება და ცოდნაა და მათი კლტურა, მათ შორის პოლიტკულტურა, მეტად არის დამყარებული მოთმენაზე და ბალანსზე, განსხვავებით ჩვენი რეგიონისგან“,-ამბობს ლაშა ტუღუში, ლიბერალური აკადემია-თბილისის დირექტორი.

კონფერენციაშ მონაწილეები თანბხმდებიან, რომ პრევენციისთვის პირველ რიგში მეტი დატვირთვით და განგრძობადი მიდგომით უნდა გამოვიყენოთ განათლება. ლაშა ტუღუშის თქმით, განათლების სფეროზე უნდა ვიფიქროთ პირველ რიგში, იმიტომ რომ (ლიბერალური აკადემიის) კვლევებმაც გვაჩვენა, რომ სტატისტიკური სურათი არის საკმაოდ შემაშფოთებელი. მაგალითად, მემარჯვენე პოპულიზმის ნოყიერი ნიადგი არის ძალიან კარგი და ამ პოპულიზმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბაზა პატერნალიზმია. გამოკითხვამ აქჩვენა, რომ მოსახლეობის ნახევარი ან ზოგან

უფრო მეტიც, თვლის რომ მთავრობა არის პატრონი და არა თავად თავისი თავის პატრონი.
ლაშა ტუღუშის შეფასებეით, ამ თვალსაზრისით ნოყიერი ნიადგი ვართ რადიკალური ჯგუფებისთვის. რადიკალური ჯგუფების წარმომადგენლები ამ განწყობებს კარგად ხედავენ და მოწყვლად საზოაგდეობას, პატერნალიზმის მოთხოვნას უკმაყოფილებენ, ჰპირდებიან რომ ისინი „უპატრონებენ“, „მიხედავენ“. სინამდვილეში კი მანიპულირებენ რელიგიური და სხვა გრძნობებით.
სრულად კვლევა: https://ei-lat.ge/wp-content/uploads/2021/02/geo-1.pdf

ამავე კვლევაში ვხვდებით მოცემულობას, რომლის მიხედვითაც საქართველოში გავრცელებულია ნეტივიზმიც. პოპულიზმთან ერთად ისიც პატერნალიზმის ერთ-ერთ მთავარ ელემენტს წარმოადგენს. ნეტივიზმი ეს არის უცხოს არმიღება, მხოლოდ საკუთარი ეთნიკურობის მიმღებლობა.
ლიბერალური აკადემიის კვლევის მიხედვით, მოქალაქეობის მინიჭების მოწინააღმდეგეა 80 % და არ აქვს მნიშვნელობა ქვეყანას.
ამონარიდი კვლევიდან:

პოპულიზმი და ანტილიბერალიზმი ნეიტივისტური და ანტიიმიგრაციული განწყობების დომინირება, ულტრა-კონსერვატიული შეხედულებების მოჭარბება,
სახელმწიფო ინსტიტუციებისა და პოლიტიკური ელიტებისადმი ნდობის ნაკლებობა და საფრთხეების მომეტებული აღქმა სამივე რეგიონში (აჭარა, სამეგრელო, თბილისი) ***პოპულისტური ძალებისთვის ხელსაყრელ გარემოს ქმნის.***

ანტილიბერალური განწყობა მამაკაცებში უფრო გამოკვეთილია, ვიდრე - ქალებში.
სამივე რეგიონში ნეიტივისტური და ანტიიმიგრაციული განწყობები დომინანტურია. უმრავლესობა წინააღმდეგია უცხოელებისთვის მოქალაქეობის მინიჭების და მათთვის მიწის მიყიდვის.

ეს განწყობა ვრცელდება „უცხოელთა“ ყველა ჯგუფზე (თურქები, რუსები, „ევროპელები“).
ავტორიტარულ ლიდერზე სამივე რეგიონში არსებობს მოთხოვნა. სამეგრელოსა და აჭარაში პატერნალისტური განწყობა დომინირებს, თბილისში კი ინდივიდუალისტური განწყობა უფრო ძლიერია.

ლაშა ტუღუშის შეფასებით, ვითარებას კიდევ უფრო ართულებს დაბალი ნდობა სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ. კვლევის მიხედვით, ნდობა ძალიან დაბალია როგორც პრეზიდენტის, ისე პარლამენტს მიმართ, იმ ფონზე როდესაც საქართველო არის საპარალამენტო რესპუბლიკა.
კვლევის ბმული: geo-1.pdf (ei-lat.ge)

ჟურნალისტიკის რესურსცენტრის მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო პრაქტიკულ-სამეცნიერო კონფერნციაზე დაისვა კითხვაც, სად უნდა მოხდეს განსხვავებული იდეების გაზიარება ? სკოლა, ოჯახი, მედია. მედიის როლის განხილვას კონფერენციის მეორე პანელი დაეთმო, სადაც არაერთ მნიშვნელოვან გადაწყვეტაზე გაკეთდა აქცენტი. მანამ კი რეგიონული უნივერსიტეტების და თსუ-ს წარმომადგენლებმა რადიკალიზაციის პრევენციის მიმართულებით უმაღლესი განათლების საფეხურის როლზე ისაუბრეს. კონფერენციის ამ ნაწილის მოდერატორი, თსუ-ს პროფესორი ნინო ჭალაგანიძე გახლდათ.

ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ინგა შამილიშვილი ამბობს, რომ რადიკალიზაციის პრევენციაზე საუბარი მხოლოდ ერთი კონკრეტული საგნის ფარგლებში არ უნდა იყოს. მისი თქმით, უნივერსიტეტებში ხვდებიან მოსწავლეები, რომლებიც სკოლებიდან მნიშვნელოვანი უნარებით ნაკლებად შეიარაღებული მოდიან. მაგალითად, სუსტია კრიტიკული აზროვნების უნარები. ინგა შამილიშვილი თვლის, რომ ეს არის ერთიანი ჯაჭვი, რომლის ცალ-ცალკე განხილვა წარმოუდგენელია.

„უნივერსტეტი დაშორდა საზოგადოებას, თითქოს ჩვენ ერთგვარ კურიკულუმში, სილაბუსში ჩავიკარგეთ... ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია, სწორედ ვიმუშავოთ თითეულ სტუდენტზე, მოსწავლეზე რადიკალიზმის შემცირებისთვის, რომელიც სამწუხაროდ სკოლის მოსწავლეებშიც აშკარაა.“

კონფერენციის ფარგლებში ინგა შამილიშვილმა, ასევე მოიყვანა კონკრეტული მაგალითები, აჭარის მუნიციპალიტეტებში არსებულ პრობლემების შესახებ.
თავის მხრივ, გამოთქმულ მოსაზრებას დაეთანხმა სესიის მოდერატორიც. ***ნინო ჭალაგანიძის შეფასებით პროცესში უწყვეტობაა მნიშვნელოვანი.***

ძალადობრივი ექსტრემიზმის და რადიკალიზაციის პრევენციის მიმართულებით საკუთარ გამოცდიელბაზე ისაუბრა გორის უნივერსიტეტის პროფესორმა მარიკა შერაზადშვილმა.

გორის უნივერსიტეტის პრაქტიკის მიხედვით, სტუდენტებში არსებობს მზაობა ჩაერთონ ამ მიმართულების პროექტებში. მარიკა შერაზადაშვილმა ჩამოთვალა აქტივობები, რომელშიც უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები ჩაერთნენ: „ერთობლივი ინიციატივა რადიკალიზაციისა და ძლადობრივი ექსტრემიზმის წინააღმდეგ“; ქარელის მუნიციპალიტეტში განხორციელბული ინიციატრივა სამოქალაქო განათლების მასწავლებლებთან ერთად: “მე, შენ, ჩვენ და მშვიდობის მშენებლობისთვის“; „ტოლერანტობა და მშვიდობიანი თანაცხოვრება დემოკრატიულ საზოგადოებაში“; „ხელი შევუწყოთ მშვიდობიან თანაცხოვრებას“; და სხვა.

განსხვავებული იყო საზოგადოებისთვის შინაარსის მიწოდების ფორმებიც. სტუდენტები, პედაგოგებთან ერთად იყენებდნენ ფრანებს, მოაწყეს ოკუპაციის

მუზეუმი, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ტანატოლებისთვის გზავნიდნენ წერილებს, ქმნიდნენ კომიქსებს.
მარიკა შერაზადაშვილის თქმით, გორის უნივერსიტეტმა სასწავლო სილაბუსებში შემდეგი საკითხები შეიტანა:

მედია და კონკფლიტები; კონფლიქტების ტიპები; გლობალიზაცია და სამოქალაქო საზოგადოება, მიმდინარე შეირაღებული კონფლიქტები, ტერორიზმი და საკანონმდებლო კონფლიქტები; ტერორიზმთან დაკავშირებული საკითხების მოდულები; დემოკრატია და მოქალაქეობა; სამოქალქო საზოგადოების როლი.
მისივე შეფასებით, განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობის და ინტეგრაციის ხელშეწყობისთვის მნიშვნელოვანია 4+1 პროგრამის როლიც.

რა ხდება სასკოლო განათლებაში? კონფერენციაზე ამ კითხვას პასუხი მაკა ბიბილეიშვილმა - სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმის დამფუძნებელმა და ხელმძღვანელმა გასცა. აღნიშნული ფორუმი 2011 წლიდან არაფორმალურად, ხოლო 2014 წლიდან არასამთავრობო ორგანიზაციის სტატუსით ოპერირებს.
მაკა ბიბილეიშვილმა საზოგადოებაში არსებულ ქსენოფობიურ და რადიკალურ განწყობებზე ისტორიულ ჭრილში ისაუბრა, უფრო კონკრეტულად კი საბჭთა კავშირის პერიოდის გევლენებზე.

მისი შეფასებით, სამოქალაქო განათლების საგნის სწავლება რჩება მნიშვნელოვან გადაწყვეტილებად, თუმცა გასათვალისწინებელია ის პროცესი, რომელიც საგნის სკოლებში სწავლების დანერგვას ახლდა თან.
GCSD-ის პროექტის ფარგლებში, სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმს, რომელიც 1000-ზე მეტ მასწავლებელს აერთიანებს, 3 366 მოსწავლესთან ჰქონდა შეხება. პროექტში ასევე ჩართული იყო 55 სტუდენტი. კონცეფციის მიხედვით მოსაწვალეები და სტუდენტები ერთად მუშაობდნენ.

„საზოგადოების ცნობიერება და მედიის როლი“

სიმბიოზური ურთიერთობა და „ხილვადობა, როგორც ჟანგბადი ტერორისტებისთვის“ -როგორ უნდა გავაშუქოთ ტერორიზმი; ზღვარი საზოგადოების ინფორმირებას და დანაშაულის შესაძლო ხელშეწყობას შორის; სოციალური მედია და ამბის თხრობის თანამედროვე ფორმები რადიკალიზაციის შემცირების მზნით - თემები საერთაშორისო კონფერენციის დასკვნით პანელში მედია მკვლევრებმა და ანალისტიკოსებმა განიხილეს. პანელის მოდერატორი ჟურნალისტიკის რესურსცენტრის პროექტების მენეჯერი ნინა ხელძე გახლდათ.

ძალადობრივ ექსტრემიზმთან დაკავშირებული საკითხების გაშუქების სახელმძღვანელოს ავტორი, ლაშა ქავთარაძე მედიის როლზე საუბრისას ხშირად აღნშნავს, რომ “მედიისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის ურთიერთმიმართებას ხშირად აღწერენ ხოლმე სიტყვით „სიმბიოზური“, რითაც ხაზს უსვამენ, რომ ერთი მხრივ, მედია მიდრეკილია დაუზარებლად გააშუქოს იდეოლოგიურად მოტივირებული ძალადობის შემთხვევები, მეორე მხრივ კი, მოძალადის ერთ-ერთი

მთავარი მიზანი შეიძლება იყოს მედიის ყურადღების მიქცევა საკუთარი თავის შესახებ ინფორმაციის რაც შეიძლება ფართოდ გასავრცელებლად (შპენცერ 2012). ამ შედარებაში შესაძლოა იყოს სიმართლის მარცვალი, მაგრამ ამავდროულად, ეს რეალობის გამარტივებაცაა, რადგან მედიის უპირველესი მოვალეობა სწორედ ინფორმაციის გავრცელებაა - იქნება ეს ტერორიზმის, ნეონაცისტური ჯგუფების მიერ ჩადენილი დანაშაულების თუ ინდივიდუალური მოტივით ჩადენილი კრიმინალის შესახებ."

სახელმძღვანელოს ბმული: https://bit.ly/3HkcpYP

მედია მკვლევრები ამბობენ, რომ ჟურნალისტებმა ასეთი საკითხები რაც შეიძლება ხშირად უნდა გააშუქონ, თუმცა დიდი მნიშვნელობა აქვს როგორ.
მნიშვნელოვანია სიფრთხილე ტერმინებთან. ლაშა ქავთარაძის თქმით, ეს ტერმინები არ არის ნეიტრალლური სიტყვები, მედია ფრთხილი უნდა იყოს მათი გამოყენებისას. რისკს წარმოადგენს ასევე რომანტიზების საფრთხეც: „ტერორისტული ქმედებები, რომლებიც მოსახლეობაზეა მიმართული, მიზნად ისახავს არა მხოლოდ შიშის გავრცელებას მოსახლეობაში, არამედ ახალი მხარდამჭერების მოზიდვასაც. ამისათვის, ასეთი ჯგუფები აქტიურად იყენებდნენ როგორც სოციალურ, ისე ტრადიციულ მედიას, რათა გაევრცელებინათ თავიანთი ე.წ. ვაჟკაცურობისა და გმირობის ნარატივები (Мартჰოზ, 2017). ტერორისტულმა ჯგუფებმა, ისევე როგორც ნეონაცისტურმა და ნეოფაშისტურმა ჯგუფებმა შესაძლოა, სხვადასხვა ხერხს მიმართონ, რათა გამოიწვიონ თანაგანცდა და სიმპათია ფართო საზოგადოებაში. აღნიშნული მიზნის მიღწევაში კი მათ მედია არ უნდა დაეხმაროს. ძალადობრივ ექსტრემიზმთან დაკავშირებული საკითხების გაშუქება 40 ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის მიერ გამოცემულ "ტერორიზმის გაშუქების სახელმძღვანელოში" ცალსახად არის მითითებული, რომ: » ტერორისტული დაჯგუფების წევრები არ უნდა იყვნენ წარმოჩენილნი გმირებად, არ უნდა მიაწეროთ ისეთი თვისებები, რაც მათ „მამაც მებრძოლებად" წარმოაჩენს. ამგვარმა გაშუქებამ შესაძლოა, მათი ქმედების მიმართ დადებითი განწყობა გამოიწვიოს. » გაშუქების დიდი წილი არ უნდა დაეთმოს ტერორისტული ორგანიზაციის წევრთა ლიდერებს, მათი ცხოვრების სტილს, მიზნებსა და განხორციელებულ ქმედებებს. ამ ჭრილში გაშუქებამ შესაძლოა, მათდამი პოზიტიური დამოკიდებულება გააჩინოს."

სახელმძღვანელოს ბმული: https://bit.ly/3HkcpYP

მედიისა და ტერორისტების ურთოერთობის შესახებ ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული შეფასება ეკუთვნის მარგარეტ ტეტჩერს: „ხილვადობა არის ჟანგბადი ტერორისტებისთვის, რომელსაც როგორც წესი მედია აწვდის ამ ადამიანებს."
ლაშა ქავთარაძემ, იქვე მოიყვანა ალტერნატიული ხედვა იმ კრიტიკოსებია, რომელბიც ამბობენ, თუკი მედიის მუშაობას შევზღუდავათ და არ გაშუქების უკიდურესაბაში გადავალთ, ამ შემთხვევაში პრობლემას შევქმნით ორ დონეზე, ნორმატიულ დონეზე და პრაქტიკულ დონეზე.

„სოციალური მედიის ტრანსფორმაციული ზემოქმედება ექსტრემიზმზე დიდად არ განსხვავდება იმ ზოგადი გავლენისგან, რომელიც სოციალურმა მედიამ იქონია ინტერპერსონალურ თუ ინტერკულტურულ კომუნიკაციაზე, მაგალითად, ჟურნალისტურ საქმიანობაში, სოციალურ აქტივობასა თუ მარკეტინგში," - ამბობს ლიამ მონსელი, მთავარი ანალიტიკოსი, Protection Group International (PGI)

მისივე შეფასებით, თუ მანამდე კონტენტი იქმნებოდა და ვრცელდებოდა მიმდევრებს შორის, ახლა სოციალური მედია კონტენტის თანაწარმოქმნის საშუალებას იძლევა თავად მომხმარებლის მიერვე შექმნილ სივრცეებში, სადაც ბევრად მეტი ინდივიდი ერთვება კონტენტის შექმნა- გავრცელების პროცესში. ასე რომ, ამ თვალსაზრისით, პროცესი უფრო დეცენტრალიზდა.

„ვფიქრობ, ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი არის ის, რომ სოციალური მედია-სივრცის ხელში ჩაგდება და მართვა ძალიან ადვილია. ნებისმიერს შეუძლია შექმნას „ფეისბუქის" ჯგუფი ან „ტვიტერის" გვერდი - ასევე, ნებისმიერს შეუძლია დაწეროს ბლოგი ან შექმნას ვებგვერდი. ადრე ამისთვის ძალიან გავლენიანი ფიგურა უნდა ყოფილიყავი კონტაქტების უზარმაზარი ქსელით - ახლა, პოტენციურად, ერთ ადამიანსაც შეუძლია წვდომა მილიონებზე. შესაბამისად, ექსტრემისტული კონტენტის შექმნისა და გავრცელების საქმეში ჩართვა ახლა ბევრად მარტივია, ვიდრე წარსულში იყო.
ამასთან, მეორე მხრივ, სოციალური მედიის საერთაშორისო ხასიათმა გააფართოვა ექსტრემისტული გზავნილების მასშტაბი და პოტენციური წვდომა - განსაკუთრებით, 21-ე საუკუნეში, როცა ვხედავთ საერთაშორისო მასშტაბზე ორიენტირებული ექსტრემისტული მოძრაობების მოჭარბებას. ასე რომ, სოციალური მედია, რომელიც საერთაშორისო დაფარვისა და კავშირების მაღალი ხარისხით გამოირჩევა, ექსტრემისტებს - ექსტრემისტულ მოძრაობებს - ნამდვილად აძლევს წვდომას გლობალურ აუდიტორიაზე.

სოციალური მედიისთვის დამახასიათებელი კიდევ ერთი ფაქტორი, რომელმაც შეცვალა ექსტრემისტული გზავნილების სისტემა ანონიმურობაა, რაც უზრუნველყოფილია [სოციალური მედიის] ყველა მომხმარებლისთვის. მაშინ, როცა ინტერნეტი ადამიანს თვითმაუწყებლობისა თუ ინდივიდუალობის გამოკვეთის საშუალებას აძლევს, იგი შენიღბვის ბევრ შესაძლებლობასაც გვთავაზობს. სოციალური მედიის პროფილის შექმნა ძალიან მარტივია - მომხმარებლის იდენტობის შემოწმების ძალზე შეზღუდული პროცედურით - რასაც ექსტრემისტები ხშირად იყენებენ ანონიმურობის შენარჩუნებისა და საკუთარი ამოცანების რეალიზების მიზნით - მასალის ისეთი ფსევდონიმებითა და ანონიმური ანგარიშებით გასავრცელებლად, რომელთა მიკვლევა და ავტორობის დადგენა რთული ან შეუძლებელია. ეს ჯგუფებს ძალიან მავნე და უაღრესად საზიანო ნარატივების გავრცელების საშუალებას აძლევს, რაც მაგალითად, საჯაროდ - საჯარო სივრცეში გაცხადებისას - დიდ პრობლემებს შეუქმნიდათ.

აქვე ისიც უნდა ვთქვათ, რომ თავად სოციალური მედიის ალგორითმული სტრუქტურა კარს უღებს ექსტრემისტულ ექსპლუატაციას, რაც შეუძლებელი იყო ძველი სტატიკური ციფრული და არაციფრული მედიის შემთხვევაში. თანამედროვე პლატფორმების დაპატენტებულმა ალგორითმებმა ხელი შეუწყო ინფორმაციის გადარჩევას და მომხმარებლის გადამისამართებას ისეთი ავტორიტეტებისა და კონტენტისკენ, რომლებიც მათში დადებით ინტერესს აღძრავდა. ეს იდეალური ინსტრუმენტია მარკეტინგისა და ბიზნესისთვის, თუმცა, დროთა განმავლობაში, შეიძლება ადამიანს უბიძგოს პოლიტიკური ექო-კამერებისკენ - წარმოქმნას ე.წ. „ფილტრის ბუშტები“: მომხმარებლები შეიძლება აღმოჩნდნენ უაღრესად რადიკალური ექსტრემისტული შეხედულებების გარემოცვაში, სადაც ისინი თანდათანობით ემიჯნებიან განსხვავებულ პოლიტიკურ და სოციალურ ჯგუფებსა და მოსაზრებებს, რაც სწორედაც რომ ხელსაყრელი გარემოებაა რადიკალიზაციის პროცესის დასაჩქარებლად.“

- ***როგორ შეცვალა სოც. მედიამ ექსტრემისტული ნარატივების გავრცელება და შინაარსი?***
- ***ყალბი ანგარიშები, ყალბი მიმდევრები – კიდევ რა ხელსაწყოებით ცდილობენ ექსტრემისტული ორგანიზაციები აუდიტორიის და გავლენის ზრდას?***
- ***მაშინ როდესაც ალგორითმი არის განმსაზღვრელი რას ვუყუროთ/წავიკითხოთ/მივდიოთ, რა ქნას სოც. მედიის აუდიტორიამ?***
- ***რამდენად სწორია და ეფექტური რეგულირება როგორც გამოსავალი და რამდენად შესაძლებელია წუთში 500 საათზე მეტი კონტენტის მონიტორინგი?***

ამ ყველა კითხვაზე პასუხის მისაღებად ეწვიეთ პოდკასტს, რომლის სპიკერიც გახლავთ ლიამ მონსელი.
პოდკასტის ბმული: http://jrc.ge/00202166-2/

მედიის ინოვაციური მიდგომა ექსტრემიზმის პრევენციაში

გაზრდილი ინფორმაციული ნაკადების პირობებში საზოგადოების ყურადღების მიპყრობის ხელსაწყოებიც იცვლება და იხვეწება. კონფერენციის სხვა მომხსენებლების მსგავსად, ძალადობრივი ექსტრემისტული ჯგუფების მიერ ინტერნეტსივრცის ეფექტიან გამოყენებაზე მიუთითებდა ნატალი ნემსაძეც, ჟურნალისტიკის რესურსცენტრის მკვლევარი.

ახალ მედიაში ძალადობრივი ექსტრემისტული ჯგუფების გაძლიერების პარალელურად აქტიურად დაიწყო დებატები იმის თაობაზე თუ როგორ უნდა ვუპასუხოთ ექსტრემისტების მიერ ამ ინსტრუმენტების გამოყენებას.

მაგალითად, ნატალი ნემსაძეს მოჰყავს შემთხვევა, როდესაც ახალგაზრდა, ყირგიზული წარმოშობის მამაკაცმა თავი აიფეთქა სანკტ-პეტერბურგის მეტროს ვაგონში, რუსეთის ფედერაციის ხელისუფლება აპლიკაციის ‘Telegram’ დაბლოკვის

მუქარით გამოვიდა. რუსეთის FSB უსაფრთხოების სააგენტომ განცხადებით, თვითმკვლელმა ტერორისტმა, ტელეგრამის მობილური შეტყობინებების აპლიკაცია გამოიყენა.
https://www.bbc.com/news/world-europe-40404842

ძალადობრივი ექსტრემიზმის შემცირების მოტივით ამგვარი ნაბიჯების გადადგმამ შესაძლოა ზოგიერთი ინსტრუმენტით სარგებლობის მკაცრად შეზღუდვამდე და კრიმინალიზაციამდეც კი მიგვიყვანოს.

ამიტომ ჩნდება კითხვა როგორ შეიძლება გავუმკლავდეთ ძალადობრივ ექსტრემიზმს ახალი მასობრივი ინფორმაციის საშუალებების და ტექნოლოგიების გამოყენებით?

„ჩვენს შემთხვევაში ერთ-ერთი მიმართულება რითაც ექსტრემიზისადმი საზოგადოების **მედეგობის** ***გაზრდას ვცდილობთ აპლიკაცია FACT OR*** **FAkE-ია.**

FACT OR FAKE ეს არის მობილური აპლიკაცია, სადაც მომხმარებლები თან თამაშობენ და თან ფაქტს და დეზინფორმაციას ერთმანეთისგან არჩევენ.

აპლიკაციას კითხვები ყოველდღიურ რეჟიმში ემატება, აღსანიშნავია, ისიც რომ თამაში ორენოვანია და მომხმარებლებს კითხვების ნახვა და მოსმენა შეუძლიათ როგორც ქართულ ისე რუსულ ენებზე. აპლიკაციას ამჟამად 629 რეგისტრირებული მომხმარებელი ჰყავს.

სოციალურ ქსელში არაერთი მომხმარებელი აზიარებდა ინფორმაციას იმის შესახებ რომ თითქოს ჯავახეთში ეთნიკურად სომეხი მოსახლეობა ავტონომიას ითხოვდა, ხოლო ქვემო ქართლში ეთნიკურად აზერბაიჯანელი მოსახლეობა ფართო პოლიტიკურ წარმომადგენლობას. სოც.ქსელის მომხმარებლები ამ მოსაზრებას რუსეთის მიერ გამოქვეყნებული ანგარიშით ამყარებდნენ.

სინამდვილეში კი ეს რუსეთის მორიგი დეზინფორმაცია იყო და სიმართლეს არ შეესაბამებოდა. რუსეთის ანგარიში რეალურად საქართველოს სახალხო დამცველის ცალკეულ შემთხვევებს ეყრდნობა და ქვეყანაში არსებულ ზოგად სურათს არ ასახავდა.“

https://bit.ly/3GnxG3n

ამ და ბევრ სხვა შემთხვევაშიც დეზინფორმაციის გამავრცელებლების მიზანი ერთი მხრივ, საზოგადოების პოლარიზაციის გაზრდა და ინსტიტუტებისადმი ნდობის შემცირება, ხოლო, მეორე მხრივ, მათთვის ხელსაყრელი ჯგუფების გაძლიერება იყო.
რამდენად გონივრული და ეფექტურია რეგულაცია, როგორც პრობლემის მოგვარების გზა? და რამდენად რეალურია წამში 500-ზე მეტი საათის მოცულობის კონტენტის მონიტორინგი? ამ შეკითხვებზე პასუხისას ლიამ მონსელი წინა მომხსენებლის ხედვას ერთგავარად განაგრძობს.

„ მე ვფიქრობ, ინფორმაციის მოცულობა თავისთავად არის სოციალური მედიის თანმხლები პრობლემა მთელს მსოფლიოში. ყველა იმ დადებითთან ერთად, რასაც სოციალური მედია გვთავაზობს, ის უბრალოდ - ის წარმოუდგენლად დიდი მოცულობის მონაცემებს წარმოქმნის, რომელთა მონიტორინგი ძალიან რთულია - ავტომატურად თუ არაავტომატურად.“

მისივე თქმით, არსებობს ამ პროცესის ავტომატიზაციის მცდელობები - ბევრი კეთდება იმისთვის, რომ მანქანური სწავლა და ხელოვნური ინტელექტი გამოყენებული იქნას სიძულვილის ენის, პოტენციურად ექსტრემისტული ანგარიშებისა და მომხმარებლების ჩართულობის გამოსავლენად.

„თუმცა, ექსტრემიზმი ძალიან კომპლექსური ფენომენია და ის მუდმივად იცვლება - მუდმივად იცვლის ენას, მუდმივად იცვლის მედიას (საშუალებებს) და ექსტრემისტული ნარატივები ძლიერ განსხვავებული იქნება ჯგუფებს შორის, იდეოლოგიებს შორის, განსხვავებული იქნება დროსა და, ასევე, ადგილმდებარეობის მიხედვით.
ამასთან, ექსტრემიზმი არ არსებობს ვაკუუმში - სოციალურ მედიაში თუ მის გარეთ. ბევრი დეტერმინანტი, რომლებიც უბიძგებს ადამიანებს ექსტრემისტული მოძრაობებისკენ, ონლაინსივრცის გარეთ ჩნდება და მერე აღწევს სოციალურ მედიას. ასე რომ, *ნებისმიერი სახის მარეგულირებელი პოლიტიკა უნდა განხორციელდეს პრევენციულ ძალისხმევის პარალელურად, რათა შერბილდეს ექსტრემიზმის უფრო ზოგადი, გარე დეტერმინანტები, როგორებიცაა: განათლება, მენტალური ჯანმრთელობა და სოციალური ინკლუზია.“*